

და ბიუჯეტის შესრულების შესახებ¹

ეკონომიკური ზრდა

2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა დაგეგმლი იყო 4.0%-ის ოდენობით, თუმცა წლის განმავლობაში რეალურ ეკონომიკურ ზრდას უფრო მაღალი ტენდენცია ქონდა.

ეკონომიკური ზრდის დაჩქარება 2 ძირითადი მიზეზით იყო გამოწვეული, კერძოდ ეკონომიკურ ზრდას ხელი შეუწყო 2016 წლის ბოლოს ფისკალურ პოლიტიკაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, რომლის მიხედვითაც მიმდინარე ხარჯების ოპტიმიზაციის ხარჯზე განხორციელდა კაპიტალური ხარჯების ზრდა, ხოლო პირდაპირი გადასახადები (მოგების გადასახადის რეფორმა) ჩაანაცვლა არაპირდაპირმა გადასახადებმა. გარდა ამისა 2017 წელს ეკონომიკური მდგომარეობა დასტაბილურდა ჩვენს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, რის შემდგომაც გაიზარდა სავარეო მოთხოვნა ჩვენს საქონელსა და მოსახურებაზე და შესაბამისად ხელი შეუწყო ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ტემპებს.

გასული წლის 3 კვარტლის მონაცემების გაანალიზების შემდგომ ეკონომიკური ზრდის პროგნოზი გაიზარდა და 4.5%-ს შეადგენდა, ხოლო ფაქტიური მაჩვენებლების მიხედვით 2017 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ წინა წელთან შედარებით 5.0 პროცენტი შეადგინა. კვარტლების მიხედვით ეკონომიკური ზრდის შემდგომი მაჩვენებლები დაფიქსირდა

- პირველ კვარტალში - 5.3%;
- მეორე კვარტალში - 4.9%;
- მესამე კვარტალში - 4.4%;
- მეოთხე კვარტალში - 5.4%.

ნომინალურ გამოსახულებაში მთლიანმა შიდა პროდუქტმა 38 042.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 11.8 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით - 10 231 ლარი (4 079 აშშ დოლარი) შეადგინა.

2017 წელს ეკონომიკურ ზრდაში წარმართველი როლი კვლავ კერძო სექტორს ეჭირა. 2017 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 19.4 პროცენტით, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 19.6 პროცენტით გაიზარდა. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა

¹ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“ ასახავს მაჩვენებლებს, რომელიც მოიცავს „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დამტკიცებულ მონაცემების შესრულებას (თუ სხვაგვარად არ არის მითითებული). შესაბამისად აგრეგირებული მაჩვენებლები არ მოიცავს (თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) ინფორმაციას მუნიციპალიტეტების და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების შესრულების თაობაზე, ასევე ინფორმაციას ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების კანონმდებლობით ნებადართული არასაბიუჯეტო (საკუთარი) შემოსავლების შესახებ, გარდა იმ თავებისა და მუხლებისა სადაც საუბარია ნათი ბიუჯეტის, ცენტრალური ბიუჯეტის და სსიპები/აიპების ბიუჯეტების მონაცემებზე. მონაცემებში ასახულია სახელმწიფოს მიერ აღებული გრანტები და კრედიტები, როგორც სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე ჩამორიცხული, ასევე ე.წ. პირდაპირი გადახდის გზით ანაზღაურებული სახსრები, მონაცემები მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული მიზნობრივი გრანტებს/დაფინანსებას (ე.წ. რეესტრის გრანტები).

რაოდენობა გაზრდილია 39.3 ათასი ადამიანით (აღნიშნული მონაცემები მოცემულია საქსტატის, ბიზნეს სექტორის 2016-2017 წლების კვარტალური კვლევების მიხედვით).

ინფლაცია

2017 წელს ინფლაციის დონემ 6.7 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდისათვის, საბაზო ინფლაცია 4.7 პროცენტის დონეზეა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

- სურსათი და უალკოჰოლო სასმელები - ფასები გაიზარდა 7.3 პროცენტით, რაც 2.2 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში;
- ტრანსპორტი - ფასები მომატებულია 14.9 პროცენტით, რამაც წლიურ ინფლაციაში 1.94 პროცენტული პუნქტი შეიტანა;
- ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო - ფასები გაიზარდა 17.5 პროცენტით, რაც 1.12 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში;
- ჯანმრთელობის დაცვა - ფასები გაიზარდა 8.1 პროცენტით, რაც 0.68 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში .

2017 წელს, მიზნობრივ შედარებით ინფლაციის უფრო მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც ერთჯერადი ფაქტორების ზეგავლენის შედეგი იყო. კერძოდ, ინფლაციის მაჩვენებელზე გავლენა იქონია იმპორტირებული პროდუქციის საერთაშორისო ფასების ზრდამ (ძირითადად საწვავის ფასის ზრდა) და ზოგიერთ აქციზურ პროდუქტზე განაკვეთის ზრდამ. აღნიშნული ფაქტორების გამოკლებით ინფლაციის მაჩვენებელი მიზნობრივ 4 პროცენტთან ნიშნულს ფარგლებში იქნებოდა. ინფლაციის ზრდა დროებითია და 2018 წლის დასაწყისში, დროებითი ფაქტორების ამოწურვასთან ერთად, სამპროცენტიან მაჩვენებელს დაუახლოვდება. 2018-2021 ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3.0 პროცენტს შეადგენს.

ლარის გაცვლითი კურსი

2017 წელს ლარი გამყარდა აშშ დოლართან მიმართებაში. 2017 წლის ბოლოს 2016 ბოლოსთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.1 პროცენტით გამყარდა და 2.59 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების გაცვლით კურსებთან, გაუფასურდა 1.1 პროცენტით.

საგარეო ვაჭრობა

2017 წელს საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 10 709.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13.8 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 2 728.0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (29.1%-ით მეტი), ხოლო იმპორტი 7 981.3 მლნ. აშშ დოლარს (9.4%-ით მეტი).

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2017 წლის მონაცემებით მთლიანი საქონელბრუნვის 14.8 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს რუსეთი 11.1%, ჩინეთი 8.8% და აზერბაიჯანი 8.2%-ული წილებით.

ექსპორტში 14.5 პროცენტით პირველ ადგილზე რუსეთია, შემდეგ მოდიან აზერბაიჯანი 10.0%, თურქეთი 7.9%, სომხეთი 7.7% და ჩინეთი 7.6%.

იმპორტში პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს 17.2 პროცენტით, შემდეგ მოდიან რუსეთი 9.9%, ჩინეთი 9.2%, აზერბაიჯანი 7.6% და უკრაინა 5.6%.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 15.4 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: ფეროშენადნობები 11.3%, მსუბუქი ავტომობილები 8.6%, ყურძნის ნატურალური ღვინოები 6.3%, სამკურნალო საშუალებები 5.2% და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 8.7 პროცენტთან წილი უკავია. შემდეგ მოდის: მსუბუქი ავტომობილები 5.9%, ნავთობის აირები 4.4%, სამკურნალო საშუალებები 4.3%, სპილენძის მადნები და კონცენტრატები 4.2% და ა.შ.

2017 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 844.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2.0 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 646.5 მლნ. აშშ დოლარი იყო (13.0% მეტი), ხოლო იმპორტი 2 197.7 მლნ. აშშ დოლარი (0.8% ნაკლები). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ევროკავშირის ქვეყნების წილმა 26.6% შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 23.7%, ხოლო იმპორტში 27.5%.

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2017 წელს 3 541.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (2016 წელთან შედარებით 30.2% მეტი). აქედან ექსპორტი 1 180.7 მლნ. აშშ დოლარი (60.0 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 2 361.1 მლნ. აშშ დოლარი (19.2 პროცენტით მეტი). დსთ-ს ქვეყნების წილმა მთლიან სავაჭრო ბრუნვაში 33.1% შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 43.3%, ხოლო იმპორტში 29.6%.

ტურიზმი

2017 წელს, საქართველოს 7 555 ათასი ვიზიტორი ეწვია (2016 წლის მონაცემებით, ვიზიტორების რაოდენობა 6 361 ათასს შეადგენდა), რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემს 18.8 პროცენტით აღემატება.

ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2 753 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 27.1 პროცენტით (587 მლნ აშშ დოლარით) აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

ფულადი გზავნილები

2017 წელს, წმინდა ფულადი გზავნილები წინა წელთან შედარებით 22.3 პროცენტით გაიზარდა (213.6 მლნ აშშ დოლარით მეტი). წმინდა ფულადი გზავნილები გაზრდილია რუსეთიდან 19.1 პროცენტით, ისრაელიდან - 98.3 პროცენტით, იტალიიდან - 18.1 პროცენტით, საბერძნეთიდან - 16.6 პროცენტით, თურქეთიდან - 19.4 პროცენტით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2017 წელს, წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 16.2 პროცენტით გაიზარდა და 1 861.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით

უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს აზერბაიჯანი (482 მლნ აშშ დოლარი) და თურქეთი (279 მლნ აშშ დოლარი) წარმოადგენს.

სახელმწიფო ვალი

სახელმწიფოს ვალი მთლიან ეკონომიკასთან მიმართებაში სტაბილურობით ხასიათდება და 2017 წელს მშპ-ს 44.6 პროცენტის დონეზეა. („ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად განსაზღვრული ლიმიტი მშპ-ის 60%). აქედან, საგარეო ვალი 35.3 პროცენტი, ხოლო საშინაო ვალი 9.3 პროცენტია. (დეტალური ინფორმაცია სახელმწიფო ვალის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ სახელმწიფო ვალის შესახებ დანართში)

2017 წლის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი

2017 წლის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კლასიფიკაციის თანახმად (GFSM 2001) მშპ-თან მიმართებაში 0.9% შეადგინა. („ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად განსაზღვრული ლიმიტი მშპ-ის 3%). იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მსხვილი საინვესტიციო პროექტების დიდი ნაწილი სახელმწიფო საწარმოების მეშვეობით ხორციელდება და შესაბამისი სახსრები ასახულია ფინანსური აქტივების ზრდის მუხლში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის ფარგლებში, ფონდი იყენებს გამოთვლის მოდიფიცირებულ მეთოდს GFSM 2001 კლასიფიკაციის მიხედვით, რაც გულისხმობს წმინდა დაკრედიტების გატარებას დეფიციტში (ხაზს ზემოთ). აღნიშნული მეთოდოლოგიით 2017 წლის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა 2.9% შეადგინა ნაცვლად პროგნოზირებული 3.4%-ისა. პროგნოზირებულთან შედარებით დაბალი დეფიციტ განაპირობა დაგეგმილზე მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ და შესაბამისად გეგმასთან შედარებით გადაჭარბებით მიღებულმა გადასახადებმა.

GFSM 2001	
შემოსავლები	10,921.2
ხარჯები	9,160.7
საოპერაციო სალდო	1,760.5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,084.5
ზრდა	2,313.9
კლება	-229.4
მთლიანი სალდო	-324.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	884.8
ზრდა	994.5

GFSM 2001 (IMF TMU)	
შემოსავლები	10,921.2
ხარჯები	9,194.3
საოპერაციო სალდო	1,726.9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,084.5
ზრდა	2,313.9
კლება	-229.4
მთლიანი სალდო	-357.6
ფინანსური აქტივების ცვლილება	884.8
ზრდა	994.5

GFSM 2001	
კლება	-109.7
ვადლებულებების ცვლილება	1,118.3
ვალის აღება	1,651.8
ვალის დაფარვა	-533.5
ნაშთის ცვლილება	-90.5
მშპ	38,042.2
დეფიციტი/მშპ	-0.85%

GFSM 2001 (IMF TMU)	
კლება	-109.7
ვადლებულებების ცვლილება	1,151.9
ვალის აღება	1,651.8
ვალის დაფარვა	-499.8
ნაშთის ცვლილება	-90.5
დაბრუნების ქვეანგარიში	129.6
მშპ	38,042.2
დეფიციტი (მოდიფიცირებული TMU)	-1,112.8
დეფიციტი/მშპ	-2.93%

ბიუჯეტი

2017 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 10 811 160.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 10 921 173.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.0%.

გასათვალისწინებელია, რომ 2017 წელს ბოლოს მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების განახლებული პროგნოზების გათვალისწინებით, ცვლილება შევიდა „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში. ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი 200.0 მლნ ლარით გაიზარდა.

- ✓ **გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9 740 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 9 778 948.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.4%.
- ✓ **გრანტების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 385 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 353 797.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 91.9%.
- ✓ **სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 740 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 788 428.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 106.5%.

2017 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	ათასი ლარი	
			+/-	%
შემოსავლები	10,865,000.0	10,921,173.9	56,173.9	100.5
გადასახადები	9,740,000.0	9,778,948.3	38,948.3	100.4
საშემოსავლო გადასახადი	2,920,000.0	2,918,865.4	-1,134.6	100.0
მოგების გადასახადი	740,000.0	756,555.5	16,555.5	102.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	4,020,000.0	4,122,612.8	102,612.8	102.6
აქციზი	1,435,000.0	1,450,921.9	15,921.9	101.1
იმპორტის გადასახადი	65,000.0	71,618.9	6,618.9	110.2
ქონების გადასახადი	410,000.0	394,746.2	-15,253.8	96.3
სხვა გადასახადი	150,000.0	63,627.6	-86,372.4	42.4
გრანტები	385 000.0	353,797.6	-31,202.4	91.9
სხვა შემოსავლები	740,000.0	788,428.0	48,428.0	106.5

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 229 433.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (185 000.0 ათასი ლარი) 124.0%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 109 710.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70 000.0 ათასი ლარი) 156.7%-ია.

2017 წელს განხორციელდა ფისკალური კონსოლიდაცია და რესურსების მობილიზება განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტების აქსელერაციის მიზნებითსავე:

- ✓ ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები მშპ-თან მიმართებაში შემცირდა 24.2%-მდე (2016 წელს 25.9% შეადგინა), მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიმართული სახსრები შემცირდა მშპ-ის 4.3%-მდე (2017 წელს 5.2% შეადგინა);
- ✓ საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად მიმართული სახსრები მშპ-თან მიმართებაში გაიზარდა 8.7%-მდე (2016 წელს მშპ-ის 6.7% მიიმართა)

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდა როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების თვალსაზრისით. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულებამ 100.4% შეადგინა, რაც ასევე მაღალი მაჩვენებელია.

ინფორმაცია საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9 696 160.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 9 750 327.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.6%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8 980 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 8 991 307.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.1%.

ამასთან, 2017 წლის განმავლობაში გადასახადების სახით მიღებული შემოსავლებიდან დაბრუნების ქვეანგარიშზე გადატანილი სახსრების გათვალისწინებით დაბრუნების ქვეანგარიშზე ნაშთის წმინდა ცვლილებამ შეადგინა 129.6 მლნ ლარი.

2017 წლის განმავლობაში დაბრუნების ქვეანგარიშზე მიმართულმა თანხამ შეადგინა 354.5 მლნ ლარი, ხოლო ამ ანგარიშიდან თანხების დაბრუნებამ შეადგინა 224.9 მლნ ლარი.

გრანტების² საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 331 160.0 ათასი ლარით (საპროგნოზო მაჩვენებელი არ მოიცავს ე.წ რეესტრის გრანტებს), საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 350 602.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105.9%, მათ შორის 72 157.1 ათასი ლარი მობილიზებული იქნა ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების სახით, 148 690.1 ათასი ლარი მიღებული იქნა საინვესტიციო პროექტების ფარგლებში, 69 038.5 ათასი ლარი ხაზინის ანგარიშზე რიცხული ე.წ. რეესტრის გრანტების ფარგლებში, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტით სსიპ(ებ)-ის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 60 716.1 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 385 000.0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 408 417.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 106.1%.

² დონორების მიერ გამოყოფილი გრანტების ნაწილის ასახვა მოხდა 2018 წლის იანვარში


დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	9,696,160.0	9,750,327.0	54,167.0	100.6
გადასახადები	8,980,000.0	8,991,307.5	11,307.5	100.1
გრანტები*	331,160.0	350,602.3	19,442.3	105.9
სხვა შემოსავლები	385,000.0	408,417.1	23,417.1	106.1

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 97 606.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (90 000.0 ათასი ლარი) 108.5%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 119 126.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (85 000.0 ათასი ლარი) 140.1%-ია.

2017 სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2017 წლის განმავლობაში „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შეტანილი იქნა ერთხელ. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები თავდაპირველ ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 305 000.0 ათასი ლარით და განისაზღვრა 11 720 475.0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 11 764 835.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.4%-ია.



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9 333 356.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9 372 090.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.4%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 1 017 203.7 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 956 556.6 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 94.0%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 971 755.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 101.6%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა


„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 1 019 871.5 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 908 878.7 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 89.1%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 905 602.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.6%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 526 187.0 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 521 683.6 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 99.1%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 515 387.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.8%-ია.

2017 წლის ასიგნებების სტრუქტურა

(საკასო შესრულება)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 384 335.7 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 385 370.0 ათასი ლარი (წინა წლის პერიოდთან შედარებით საკასო ხარჯი შემცირდა 67.0 მლნ ლარით, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის „შრომის ანაზღაურების“ მუხლი შემცირებულა 104.0 მლნ ლარით), რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.1%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 14.8%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 11.8%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 1 223 406.5 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 1 248 448.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 102.0%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 13.3%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 10.6%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 478 549.5 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 476 606.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.6%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული 4.1%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 237 482.1 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე 239 075.1 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 471 164.3 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 486 262.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 103.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 5.2%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე ჯამურად მიიმართა 101 163.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.1%-ს შეადგენს.
- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 96 369.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ს შეადგენს;
- ✓ ერთიანი აგროპროექტი - ჯამურად მიიმართა 67 163.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს;
- ✓ მეწარმეობის განვითარება - ჯამურად მიიმართა 30 180.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ს შეადგენს;
- ✓ რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - ჯამურად მიიმართა 24 602.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 106.8%-ს შეადგენს;
- ✓ მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - ჯამურად მიიმართა 19 274.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.7%-ს შეადგენს;

- ✓ ფიზიკურ პირებზე უცხოურ ვალუტაში გაცემული საბანკო სესხების ეროვნულ ვალუტაში კონვერტირების ხელშეწყობის ღონისძიებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 15 726.9 ათასი ლარი;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 346 158.8 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (1 332 028.9 ათასი ლარი) 101.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 11.4%-ს შეადგენს. მათ შორის მუნიციპალიტეტებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებზე გადაცემულმა ტრანსფერმა შეადგინა 941.8 მლნ ლარი.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 3 324 267.1 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (3 325 050.9 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს. „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 35.5%-ა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 28.3%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 1 685 800.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 706 051.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 646 635.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის და მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში პროგრამები - აღნიშნული მიზნით ჯამურად მიიმართა 174 017.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;


„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 118 820.3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1 104 977.1 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 98.8%-ს. „სხვა ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 11.8%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 9.4%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ ზოგადი განათლება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 596 684.6 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია), მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებაზე - 575 303.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 90 002.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86.1%-ს შეადგენს;

- ✓ ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - აღნიშნული მიზნით მიიმატა 85 443.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 108.4%-ს შეადგენს;
- ✓ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება - აღნიშნული მიზნით მიიმატა 53 586.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს;

2017 წლის ხარჯების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



სახელმწიფო ვალების აღება და დაფარვა

ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 1 651 605.1 ათასი ლარი, მათ შორის:

- 399 493.9 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 294 332.0 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდაჭერი კრედიტები;
- 957 779.3 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;

ათას ლარებში

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტები	294,332.0
WB	259,375.7
EU	34,956.2
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	957,779.3
WB	205,985.7
IFAD	6,047.6
EIB	180,368.0
EBRD	94,421.7
AIIB	22,980.2
ADB	245,464.3
საფრანგეთი	110,085.6
კუვეიტი	49.1
იაპონია	36,706.8
ავსტრია	4,888.3

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
გერმანია	50,782.0
სულ კრედიტები	1,252,111.3

საშინაო ფასიანი ქაღალდები

2017 წლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 54 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 1 488 000.0 ათასი ლარის მოცულობით, ამავე პერიოდში დაიფარა 1 096 518.0 ათასი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 16.1% იყო 6 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 39.3% - 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 23.2% - 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 16.0% - 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 5.4% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებულმა თანხამ 1 448 006.4 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 1 048 512.5 ათასი ლარი შეადგინა. სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად, საშინაო ვალდებულების ზრდამ შეადგინა 399 493.9 ათასი ლარი, რაც დაგეგმილთან შედარებით 99.9%-ია.

ვალის მომსახურება და დაფარვა

2017 წლის მანძილზე სახელმწიფოს მიერ ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 939.0 მლნ ლარი, მათ შორის:

- საგარეო ვალდებულებები - 664.9 მლნ ლარი
 - ✓ მომსახურება - 237.5 მლნ ლარი;
 - ✓ დაფარვა - 427.4 მლნ ლარი;
- საშინაო ვალდებულებები - 274.1 მლნ ლარი;
 - ✓ მომსახურება - 239.1 მლნ ლარი;
 - ✓ დაფარვა - 35.0 მლნ ლარი;

სარეზერვო ფონდები, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

- ✓ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 40 000.0 ათასი ლარით. ამასთან, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 22 ივნისის N1251 განკარგულების თანახმად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები გაიზარდა 560.0 ათასი ლარით, ხოლო „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფონდებში რესურსების გაზრდის თაობაზე“

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 აგვისტოს №1672 განკარგულების საფუძველზე - 40 000.0 ათასი ლარით. 2017 წლის ბოლოსთვის ფონდის მოცულობა განისაზღვრა 80 560.0 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 80 549.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 73 729.9 ათასი ლარი.

✓ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 4 970.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 4 897.3 ათასი ლარი.

✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 274 000.0 ათასი ლარით. ამასთან, „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფონდებში რესურსების გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 აგვისტოს №1672 განკარგულების საფუძველზე ფონდის ასიგნებები გაიზარდა 28 250.0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ფონდის მოცულობა განისაზღვრა 302 250.0 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული განკარგულებებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნების მოცულობამ შეადგინა 301 464.6 ათასი ლარი, ხოლო სახაზინო სამსახურის მიერ გადარიცხულმა თანხებმა - 297 266.6 ათასი ლარი.

✓ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 20 000.0 ათასი ლარით. ამასთან, „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის №1385 განკარგულების საფუძველზე ფონდის ასიგნებები გაიზარდა 6 000.0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ფონდის მოცულობა განისაზღვრა 26 000.0 ათასი ლარით.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული განკარგულებებით მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნების მოცულობამ შეადგინა 24 319.8 ათასი ლარი, ხოლო სახაზინო სამსახურის მიერ გადარიცხულმა თანხებმა - 23 472.1 ათასი ლარი.

ინფორმაცია 2017 წელს სახელმწიფო ხაზინაში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

მლნ ლარი

დასახელება	01.01.2017	01.01.2018
სულ	1,547.8	1,894.1
ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი	704.1	558.0
ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების ქვეანგარიში	7.6	137.2
სახაზინო სამსახურის სავალუტო ანგარიშებზე რიცხული ნაშთი	250.8	436.8
მიზნობრივი გრანტები	13.3	21.3
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული დეპოზიტური ნაშთი	40.7	41.0
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების კუთვნილი თანხები	260.3	316.0
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული სსიპ-ების და ააიპ-ების ნაშთი	270.9	383.8
<i>მათ შორის კომერციულ ბანკში რიცხული სახელმწიფო ბიუჯეტის ფულადი სახსრები</i>	<i>185.0</i>	<i>555.0</i>
<i>მათ შორის კომერციულ ბანკში რიცხული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების ნაშთი</i>	<i>187.2</i>	<i>179.9</i>
<i>მათ შორის კომერციულ ბანკებში რიცხული სსიპ-ების და ააიპ-ების ნაშთი</i>	<i>177.7</i>	<i>180.9</i>